**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892



## ტფილისის ქალაქის თავისაგან

დროებით დადგმულის ხიდის ჩანგრევის უბედურობა წმ. ნათლი-ღება დღეს, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, უმსხვერპლოდ არ გათავდა.

რამდენმე ოჯახმა იმ დღეს დაჰკარგა თვისი მასაზრდოებელნი. ვიცი რა გულ-შემატკივრობა ქალაქის მცხოვრებთა, როცა საქმე მათგან შემწეობას ითხოვს, ჩემს მოვალეობად დავსახე გავმართო ქალაქის გამგეობაში ხელის-მოწერა შემოწირულებათა მისაღებად იმ სახლობათა სასარგებლოდ, რომელთაც დაჰკარგეს ვინმე ზემოხსენებულ უბედურობის დროს.

შემოწირულებანი მიიღება ქალაქის გამგეობაში, ყოველ დღე, ნაშუადღევის ორ საათამდე. (5—1)

ქართული თეატრი

პარასკევს, 10 იანვარს,

არტისტი ვლ. ალექსიევ-მესხიევის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

**თამარ-ცბიერი**

ისტორ. დრამა 4 მოქ. თხზულ. აკაკისა

მგოსანის როლს შეასრულებს ალექსიევ-მესხიევი, მასხარის როლს ვ. აბაშიძე.

II

**მოცვია**

ვოდევილი 1 მოქ. ლ. ჭიჭინაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, არლანისა, ბ-ნნი: მესხიევი, აბაშიძე, გედევანოვი, ცაგარელი, კანდელაკი, შათირიშვილი, გუნია და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

მოწაფეთათვის კუპონები ლოჟაში ღირს ათი შაური.

დასაწყისი სწორედ 7½ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „თელაველი ოტელო“ ბენაშვილისა, „ყაჩაღები“,—შილლერისა, „აირია მონასტერი“, „და-ძმა“ და სხვა.

რეჟისორი ნ. ავალიშვილი. ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

12 იანვარს 1892 წელსა

ქუთაისის კლუბის ზალაში

დანიშნულია

**აზნაურობის ბალი**

სასარგებლოდ

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელისა.

გამგე კნ. მ. ა. ასული წერეთელისა.

(3—1)

სამეურნეო გაზეთი

**„მეურნე“**

1892 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წინა წლებში

**გაზეთის ფასი:**

| ტფილისში | | ტფილისს გარედ | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა | 4 მ. — კ. | 1 წლისა | 5 მ. — კ. |
| ½ „ | 2 მ. 50 კ. | ½ „ | 3 მ. — კ. |

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ და 20 კაპ. პირველს გვერდზე.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება: კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში და თვით რედაქციაში, რეუტის ქუჩაზედ, სახლი № 10.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ უნდა მიჰმართონ თვითონ რედაქციას, შემდეგის ადრესით: **Тифлисъ въ редакцію газ. „Мэурнэ“.**

ყველა, ვინც 1891 წ. იბარებდა გაზ. „მეურნეს“, მომავალს 1892 წელსაც უსასყიდლოდ მიუვა მთელი წლის განმავლობაში. (5—3)


ტფილისი, 8 იანვარი

იმისთანა უმაგალითო და შემაძრუწუნებელი უბედურება, რომელმაც სასიხარულო დღესასწაული ნათლის ღებისა გლოვისა და ვაების დღედ გადაუქცია ჩვენის ქალაქის მკვიდრთა, ძალა უნებურად მიღურსმამს ხოლმე ადამიანის გონებას ერთს საგანზე: ვინ და რა იყო მიზეზი ასეთის საშინელის ამბისაო. გლოვა და ტირილი ხომ ერთია და ამისი კითხვა და გამოგითხვა ათასი. ზარდაცემული და შეძრუწუნებული გონება ამ კითხვას ვერა ჰშორდება, თითქო ნუგეშს ამ გამოცანისაგან ელოდდეს.

მართალია, მინამ საქმე გამოძიებული არ იქნება, ძნელია კაცმა იკისროს ბრალი ვისმეს დასდოს. პასუხის გება ღვთისა და კაცთა წინაშე ამ შემთხვევაში მეტად დიდია და ეს სიმძიმე და სიდიდე ბრალისა ყოველს გაბედულობას ართმევს კაცს ვისმეზე თითი მიიშვიროს დამნაშავის საჩვენებლად. ეს ხომ ესეა და ჩვენც, რასაკვირველია, იმოდენად არ გავკადნიერდებით, რომ კანონიერს გამოძიებას ჩვენ ჩვენი სიტყვა დავასწროთ. მართალია, ყველა შეწუხებულია, ყველა დაღონებულია და გულჩათუთქული, რომ ეს საშინელი ამბავი მოხდა, მაგრამ მოქალაქობრივი მოვალეობა ითხოვს მშვიდობიანად და მოთმინებით ვუცადოთ, რას გამოიძიებს, რას გამოარკვევს მთავრობის მიერ დანიშნული გამოძიება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამართალი ამ შემთხვევაში თავისს უტყუარს განაჩენს დასდებს, როცა საამისოდ საკმაო საბუთი ხელთ მოუგროვდება.

ხოლო ერთი რამ გვაკვირვებს და გვაოცებს. დღევანდელს აქაურს გაზეთებში დაბეჭდილია ტფილისის ქალაქის გამგეობის სახელით შემდეგი:

„იმის გამო რომ ქალაქში ხმა გავარდა და თვით ჟურნალ-გაზეთებშიაც, ვითომ მადათოვის კუნძულის და ვანქის შუა ჩაქცეულ ხიდის აშენებაში ქალაქის შენობათა განყოფილებაც (городское строительное отдѣленіе) რეულა, ქალაქის გამგეობა ვალად ჰრაცხს, გამოაცხადოს, რომ მას (გამგეობას) ამ ხიდის აშენების ნება არ მიუცია; რომ, პირ იქით, 16 დეკემბერს მოითხოვა პროექტი ხიდისა და პროექტიც-კი არ წარმოუდგინეს; რომ არც ქალაქის ინჟენერს, არც ერთს ქალაქის ტეხნიკოსს ხიდის შენებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და, როცა ხიდი გაკეთდა, არავინ მათგანი არ მიუწვევიათ შესამოწმებლად, გამგეობის ნება დაურთველად, უკვე აშენებულის ხიდისა და არც იმის გამოსარკვევად, თუ რამოდენად შემძლეა ხიდი, ხალხი შეიმაგროს.“

ვკითხულობთ ამისთანა განცხადებას და გვიკვირს: რა უნდა ეთქვა ამით გამგეობას? ნუ თუ ისა, რომ ამ საქმეში მეკი ხელი დამიბანიაო და დანარჩენი თქვენ იცითო.

ჩვენ შორსა ვართ იმაზე, რომ ქალაქის გამგეობას პირდაპირი ბრალი დავსდვათ. ჩვენა გვსურს, რომ კანონიერმა სამართალმა აღმოაჩინოს ბრალეული და შესაფერი სასჯელი მიუწყას. ხოლო არ შეგვიძლიან გავუჩუმდეთ იმ ახირებულს საბუთებს, რომელიც გამგეობამ თვითვე გამოაცხადა გაზეთებში თავის გასამართლებლად. გამგეობა ამბობს, ჩვენ ნება არ მიგვიცია ხიდის გადებისაო. ჩვენა გვგონია, რომ ძალიან დაუშავებია, რომ ნება არ მიუცაა, რადგანაც ყველამ, დიდმა თუ პატარამ, ქალაქში იცოდა, რომ სომხობისათვის წყალის კურთხევა ისე საჭირო, როგორც მართლმადიდებელთათვის და ხსენებულ ხიდის ნება დაურთველობა ამ შემთხვევაში მოასწავებს გაუქმებას იმისთანა სამღვთო წესისას, რომელიც ყველა მორწმუნეთათვის მეტად ძვირფასია.

ჩვენ არ ვიცით, იმიტომ არ მისცა გამგეობამ ნება, რომ ამისთანა საშინელის ფათერაკის შიში ჰქონდა, თუ სხვა რამ მიზეზი იყო. პირველს შემთხვევაში ნება-დაურთველობას კიდევ რაიმე შესაწყნარებელი და პატივსაცემი საბუთი ექმნებოდა. ხოლო ყოველ შემთხვევაში გამგეობას სხვა გზა და სხვა შესაფერი ადგილი უნდა ეჩვენებინა, რომ სომხობას თავისი ჩვეულებრივი სამღვთო წესი აესრულებინა ღირსეულის პატივით და დიდებითა. ჩვენ ნება არ მივეცითო, განა ეს გასამართლებელი საბუთია? ქალაქში ხიდს აკეთებენ, იციან, რომ ათასი და ორი-ათასი კაცი გაივლის იმ ხიდზე თითქმის ერთს დროს და ქალაქის მკვიდრთათვის მზრუნველმა გამგეობამ აქ ხელი უნდა დაიბანოს მარტო იმ ნუგეშით, რომ ჩვენ ნება არ მიგვიციაო.

დავანებოთ ყველას ამას თავი: ვსთქვათ, გამგეობას ნება არ მიუცია ხიდის გადებისა. მითამ რაო? მთელი ერთი თთვე გამგეობის დაუკითხავად იმისთანა თვალსაჩინო ადგილას ხიდს აშენებენ, საცა თითქმის ორი თუ მეტი ათასი კაცი ერთს დროს მოგროვდება და გამგეობას თითიც არ გაუნძრევია, ან კეთება შეაყენოს, ან გაკეთებული შეამოწმოს, რომ უბედურება რამ არ მოხდეს. ნუ თუ მთელი ერთი თთვე ვერავინ ვერ დაინახა, რომ ხიდი კეთდება! თუ ესეა, ძალიან თვალახილებული მზრუნველნი ჰყოლია ჩვენს ქალაქსა.

არავინ არ მოგვმართა, რომ ხიდი შეგვემოწმებინაო. როგორ? ამისთანა შემთხვევაში განა ლოდინი უნდა, აცა მოვლენ და გვთხოვენ ხიდის სიმკვიდრის შემოწმებასაო? თვით გამგეობას განა ყური უნდა მოეყრუებინა იქ, საცა ასისა და ათასის კაცის სიცოცხლეა სახეში მისაღები და განსაცდელში ჩავარდნილი? განა აქ ლოდინი უნდოდა მოწვევის კაცისა და თვით გამგეობას-კი ყოველივე ღონისძიება არ უნდა მიეღო, რომ შეემოწმებინა და ეს საშინელი უბედურება არ მომხდარიყო?

აკი ვამბობთ, რომ ჩვენ შორსა ვართ ბრალი ვისმე დავსდოთ, მაგრამ როცა ამბობენ, ჩვენ უნდა ნება დაგვერთვა, ჩვენ უნდა შეგვემოწმებინაო, მაშინ ჩვენც ნება გვაქვს ვუპასუხოთ: თუ თქვენ ნება არ დართეთ, რაღად გააკეთებინეთ, რატომ არ დააყენეთ ხიდის მუშაობა და თუ გააკეთებინეთ, რატომ არ შეამოწმეთ. უბრალო კედლის ამოყვანა რომ გაბედოს ვინმემ თავის სახლებში, გამგეობის ნება დაურთველად, ათასი მოხელე თავზე დაესხმის ხოლმე, ნუ აკეთებო და აქ ორი თუ სამი ათასის კაცის გასასვლელს ხიდსა სდებენ, ამოდენა ხალხი განსაცდელში ცვივა და გამგეობა ტფილისის ქალაქისა ყურსაც არ იბერტყავს.

საკვირველი არიან, გამგეობავ, საქმენი შენნი!

## ნათლი-ღების უბედურების გამო.

აღარც სახელმწიფოთა გამწვავებული ურთი-ერთობაა, აღარც ქვეყნის ცოდვა-მადლით სავსე საუკუღმართო და საბედ-შავო ტრიალი, აღარც დღის ჭირი და ვარამი, ყველაფერი უკუ დგა, თავი მოიხარა და, ტფილელთათვის მაინც, თავისი ალაგი ტფილისში ნათლი-ღება დღეს მომხდარს უბედურებას დაუთმო. ფიქრსაც-კი ნახტომი შეეშალა, ფრთა შეეკვეცა, ერთის საგნიდგან მეორეზედ ალმაფრენის ნიჭი მოესპო და დაღონებული, დაძმარებული დაჰყურებს უბედურების მსხვერპლთ, უბრალოდ, უდანაშაულოდ, უმიზეზოდ დაღუპულთ და ამ წუთი-სოფელს უდროოდ განშორებულთ.

აქ შური-კი არა, ზვარაკია, უდანაშაულოს მსხვერპლად შეწირვაა. თვით ეკკლესიის სადღესასწაულო დღეც-კი ზარიან, უბედურ დღედ შეიცვალა, ცოდვით აივსო, სისხლით შეიღება, „წყარო ცხოვრებისა იორდანესი“ სიკვდილის წყაროდ გადაიქცა, „ნათელი იღო ხორცით მხსნელმან ჩვენმან“ და ამავე დღეს რამდენიმე ქრისტიანი ხორცით დაიღუპა, რამდენსამე ოჯახს გულ-ხელი დააკრეფინა, სიხარულით მოელვარე თვალები მწუხარების ბუნდით შეუცვალა. წყარო „უკვდავებისა, უხრწნელებისა და მხიარულებისა“ სიკვდილისა, გახრწნილებისა და ძაძის-შემოსულობის წყაროდ გადაიქცა.

ჯერ მარტო ფიქრადაც-კი წარმოდგენა ამ უბედურებისა ადამიანს შიშის ზარსა სცემს, გულს უკლავს, გონებას მწუხარებით უვსებს და თვალით დანახვა რაღა უნდა იყოს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასობით აზვირთებულსა და ადიდებულს „განწმენდილს“ წყალში სცვივა ოცობით, იქვე ირჩობა და ათი ამდენი კიდევ ობლად რჩება... ვინ მოსთვლის, ამ უბედურების გამო რამდენი მოზარდი დაობლდა, რამდენი ახალგაზდა დაქვრივდა, რამდენს ოჯახს ლუკმის მომპოვებელი და პატრონი დაეღუპა!.. არამც თუ ჩვენს პაწია ქალაქში, მთელს ქვეყნიერობაზედაც-კი იშვიათი ამბავია, რომ ორმოცმა და სამოცმა ადამიანმა უეცრად, მოულოდნებლად დალიოს სული, და თუა, ყველგან ამისთანა ამბავი ზარად და ზათქად არის მიჩნეული, ყველგან ქვეყნის გულის ტკივილსა და საერთო მწუხარებას გამოიწვევს ხოლმე...

ვინც დაიღუპა, ხომ დაიღუპა, მაგრამ იმათს დაღუპვას შეიძლება ბევრი სხვაც მიჰყვეს, ტანჯვა დაღუპულთა ოჯახობისა იმათის უბედურად გაქრობით არა თავდება, ამიერიდგან არა-ნაკლები წამება მოელით იმ ქვრივ-ობლებს, რომელთაც დღიური საზრდო მოაკლდათ და დღე ყოველ თვალწინ უნდა უდგეთ თავიანთის უბედურების მიზეზი, დღე ყოველ უნდა იგრძნონ ამ საზარელის ამბის დანაკლისი და ზარალი. ვინ უნდა გაუწიოს იმათ დაკარგულთა მაგიერობა, თუ არა გულის ტკივილით სავსე საზოგადოებამ, რომელმაც თავის თვალით ჰნახა იმათი თავს ზარ-დამცემი უბედურება და რომელსაც მით უფრო ადვილად შეუძლიან გაითვალისწინოს დაობლებულ ობოლთა განწირული და სასოწარკვეთილი მდგომარეობა?!

ქვეყნის გულის ტკივილს უბედურთა დახმარება და შველა უნდა მოჰყვეს. ქვეყნის ვალია უპატრონოს ასე საზარლად, ასე უნუგეშოდ და უბედურად დაობლებულთ და თავისი წვლილი არ დაიშუროს იმ საბრალოთათვის. დღეს ჩვენს გაზეთში ვბეჭდავთ ტფილისის ქალაქის განცხადებას, რომელშიაც ნათქვამია, რომ რამდენმამე ოჯახმა თავისი მასაზრდოებელი დაჰკარგა და ქალაქის გამგეობაში ხელის-მოწერაა გამართული იმათ სასარგებლოდაო. იმედია, ამ განცხადებას შესაფერის გულ-მტკივნეულობით დახვდებიან ტფილელნი და თავის მხრითაც ეცდებიან, მწარე ხვედრი შეუმსუბუქონ დაღუპულ და დანელებულ ოჯახებს...

მ—ძე

## კიდევ 6 იანვარს მომხდარ უბედურების შესახებ

სხვა სალაპარაკო საგანი აღარა აქვთ-რა ამ ჟამად ტფილისელებს, გარდა 6 იანვარს მომხდარ უბედურებისა. სადაც-კი მიიხედავთ, სახლში, ეზოში, ქუჩაში, ერთის სიტყვით, შინ თუ გარედ დიდი და პატარა ისევ ამ საქმის შესახებ ჰლაპარაკობს. უეცრად თავზარდაცემულნი ტფილისელები პირველში მხოლოდ თავისს უბედურებას-ღა სჩიოდნენ, მაგრამ ეხლა-კი ყველა მიზეზს ეძიებს, ვისი ბრალია, ვინ დაღუპა ეს ამდენა ხალხიო. ჩვენ ჩვენის მხრით ამაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ შემდეგ გარემოებათა მოხსენებას-კი საჭიროდ ვხადით.

სულ ადრევ სომეხთა სამღვდელოთა კრებული წყალკურთხევის წესის ასასრულებლად ლიტანიით ვარანცოვის ხიდზე წამოვიდოდა ხოლმე. მაგრამ შემდეგში ერთმა გარემოებამ იძულებულ ჰყო ხიდი გაემართათ ვანქის ტაძრის პირ-და-პირ და ამ ხიდზე ევლოთ. რომ საშიშო იყო სახელ-და-ხელოდ გაკეთებულის ხიდის ნდობა, ეს მაშინვე შეიგნეს სომხებმა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთხელ, ამ ოციოდე წლის წინად ხიდი ჩატყდა წლევანდებურად და ხალხი დაიღუპა. ამ ამბავმა დააფიქრა სამღვდელოთა კრებული, გააფრთხილა შემდეგისთვის, მაგრამ წლევანდელმა ამბავმა ნათლად დაანახვა საზოგადოებას,—რა გაფრთხილებაც უსწავლებია იმ ადრინდელს უბედურებას. პირველი და უკანასკნელი სიფრთხილე საქმის მეთაურებისა ის იყო, რომ ყოველ წლივ სანათლიღებოდ გამართულს ხიდს, ხუროთ მოძღვარს მოიწვევდნენ ხოლმე, და გაასინჯებდნენ. ეს იყო და ეს. ეს ხომ კარგია და კარგი, მაგრამ განა უკეთესად არ შეიძლებოდა საქმის მოწყობა? ერთმა ღვთისნიერმა კაცმა, აკოფოვმა, კარგა ხანია მასალა იყიდა რკინის ხიდისა და შესწირა სომეხთა კონსისტორიას, რომ ერთხელვე სამუდამოდ მაგარი ხიდი გაკეთებულიყო და შიში აღარაფრისა ჰქონოდათ ყოველ წლივ. ეხლაც ეს ნაყიდი მასალა ვანქის ტაძრის გალავანში აწყვია. კონსისტორიას რომ დროზედ ეთავა, ხელ-ფასი გაეღო რკინის ხიდის აშენებაზე, მაშინ მგონი-კი არა,, უთუოდ აგვცილდებოდა წლევანდელი უბადურება.

მაგრამ განა მარტო რკინის ხიდს გარდა, სხვაფრივ ხსნა არ შეიძლებოდა. თუ გული გულობსო, იტყვიან, ქადა ორის ხელით იჭმევაო. შეიძლებოდა, მაგრამ საქმისთვის თანაგრძნობა იყო საჭირო, გულ-დადება, გულიანად მოკიდება საქმისა. ხოლო, როგორც ამ საქმის უკვე გამრკვეულ ვითარებათაგანა სჩანს, ყველა ფორმალურად მოჰკიდებია. ერთის მხრით ქალაქის გამგეობა აცხადებს საქვეყნოდ, ჩვენი არა ბრალია, რაც ჩვენი გასაკეთებელი იყო, ყველაფერი გავაკეთეთ და შევასრულეთო, ესე იგი, გვთხოვეს და ნება არ მივეცითო და არა გვთხოვეს და არა შევამოწმეთო!... მეორეს მხრით სომეხთა სასულიერო კონსისტორია ამტკიცებს, ქალაქის გამგეობა მართალს არ ამბობს, ჩვენ რა შუაში ვართ, ერთხელ ვიყვლეთ და გავათავეთ, თუ რამ საზრუნველი იყო, იმას უნდა ეზრუნა, ჩვენ რა ხუროთმოძღვრები და დურგლები ვართ, რომ ხიდი შეგვემოწმებინაო. მოდი და გაიგეთ, ვინ მართალია, ვინ ბრალი. საქმე, როგორც ჰხედავთ, ძლიერ არეულ-დარეული და გამოურკვეველია, მაგრამ მართალი აი რა არის:

როცა წლეულს სომეხთა კონსისტორიის დაუპირებია ვან,ქის პირდაპირ სანათლიღებოდ დროებით ხის ხიდის გაკეთება, უწყება გაუგზავნია საქალაქო გამგეობისათვის და უთხოვნია, ხუროთ-მოძღვარი გამოგვიგზავნეთ ხიდის კეთებას თვალი ადევნოსო. ქალაქის გამგეობას ხიდის გეგმა მოუთხოვნია, ჯერ ეგ გეგმა გამოგვიგზავნეთ და მერე გამოვგზავნით ხუროთ-მოძღვარსაო. სომეხთა კონსისტორიას ეს თხოვნა გამგეობისა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ვერ შეუსრულებია. ამას შემდეგ ქალაქის გამგეობა საქმეში აღარ ჩარეულა და მარტო კონსისტორიასღა უწარმოებია. ხიდის გაკეთება იჯარით ყოფილა გაცემული. ამბობენ, ხიდი კერძო ხუროთ-მოძღვარმა შეამოწმაო, მაგრამ თვით კონსისტორია-კი ამის შესახებ სრულიად არას ამბობს თავისს განცხადებაში, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთშიაც იბეჭდება. თუნდა გაზეთების სიტყვაც დავიჯეროთ და მართლად მივიჩნიოთ ის ამბავი, რომ ხუროთ-მოძღვარმა შეამოწმა ხიდიო, მაინც საქმეს დიდი დაუდევრობა ეტყობა. გაზეთების სიტყვით, ხუროთ-მოძღვარს უთქვამს, ერთად ხუთ-ხუთზე მეტის კაცის გატარება არ შეიძლება ხიდზეო, მაგრამ, როგორც ვიცით, ხიდზე ხალხის გავლის დროს ნათლიღება დღეს ისეთი ჰედვა-ჰყლეტა იყო, რომ ნემსის კუნწიც არ ჩავარდებოდა.

აი ეს არის ჯერ-ჯერობით გამორკვეული მართალი ამ საქმის შესახებ. ვინ არის თავი და თავი მიზეზი მომხდარის უბედურებისა, ამას გამოძიება აღმოაჩენს, რომელიც უკვე სწარმოებს ამ ჟამად.

დაღუპულთა რაოდენობის შესახებ ცნობანი ჯერ კიდევ ვერ არის გამორკვეული, მაგრამ, როგორც შევიტყეთ, 6 იანვრის უბედურება მარტო ხალხის დახოცვით არ დამთავრებულა: რამდენსამე კაცს, წყალში გაციებულს, ფილტვების ანთება მოსვლია და რამდენიმეც კიდევ ჰკუაზე შეშლილა შიშისა გამო.

6 იანვარს დაღუპულთა გვარები ჯერ მხოლოდ შემდეგი შევიტყეთ: ტფილისის მცხოვრებნი: გრიქურ ფარნაოზის ძე კატანიანცი, კევორკ ხეჩოს ძე აკოფოვი, სარიბეკ არუთინას ძე მუშრუნოვი, ალექსანდრე ოჰანეზას ძე გრიქუროვი, ისაკ ალექსის ძე მინასოვი, ბადალ ტერ-არუთინოვი, მაღაკია სემონოვი, პეტრუზ ოჰანეზოვი ტიგრან ოჰანეზას ძე ბილბილოვი, ტფილისის მცხოვრების როსტომოვის 16 წლის მოსამსახურე, რომლის გვარი ჯერ არა სჩანს.

ახალბაიაზეთის მცხოვრებნი: გევორკ შაროევი, ქეღამ ბაღმესოვი, სისაკან ხალგაშოვი; სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლე კარაპეტ კაჩაროვი, სპარსელი ბაბა-აირაპეტ-ოღლი; კოდელი გლეხი ყაზარ საქულოვი ალათაშვილი, ნახჩევნის მაზრელი მიხეილ ნაზაროვი და გეორკ მირზახანოვი, განჯის გუბერნიის მცხოვრები პეტროს ბაგრამოვი, გორის მაზრის, სოფელ სასირეთის მცხოვრებელი დავით ლეფარაშვილი, სიღნაღელი სუქიას სუქიასოვი, ველისციხელი საქულ დავიდოვი, თელაველი ზაქარია არუთინოვი, მეგრელი იაკობ კუპრავა, გუმბრელი ტომას საგოიანცი და სარქის ტერ-არაქელოვი, ყაზახელი პავლე პაპიევი, ილია გრუზელაძე.

მომეტებული წილი დაღუპულთა სულ მუშა და ხელოსანი ხალხი ყოფილა.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ გავიგონეთ, რომ სომეხთა ეპარქიის უფროსი ეპისკოპოზი მამბრე, რომელიც ამ ჟამად ძალიან ავად არის იმ 6 იანვარს მომხდარ უბედურების შემდეგ, ეპარქიას თავს ანებებს და მონასტერში მიდისო.

*** 6 იანვარს მომხდარ უბედურების გამოძიება პოლიციის თხოვნით მიენდო მესამე განყოფილების გამომძიებელს, რომელიც უბედურების დროს იქ შეესწრო. ამ გამომძიებელმა საქმე მეორე განყოფილების გამომძიებელს გადასცა, მაგრამ იმან თავის მხრივ უარ-ჰყო მის გამოძიება, მე არ მექვემდებარებაო. ეხლა პოლიცმეისტერი ოლქის სასამართლოს პროკურორს სთხოვს, ეს საქმე გამოსაძიებლად საგანგებო გამომძიებელს ჩააბარეთო.

*** ორშაბათს, 6 იანვარს, ვანქის ტაძრის გალავანში იმ დროს, როცა იქვე მახლობლად უბედურება მოხდა, ჯიბგირმა იმამკულ მაჰმედ-ოღლიმ, ერთს კაცს ხელი ჩაუყო ჯიბეში, ხალხმა თვალი მოჰკრა და ჯიბგირი დაიჭირა. ამ გარემოებამ ისე იმოქმედა იქვე მომხდარ უბედურების გამო აღელვებულს ხალხზე, რომ ჯიბგირს ქვებით არ ჩააქვავეს. პოლიციამ ძლივს გამოაცალა აღელვებულს ხალხს ხელიდგან და მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნა. ჯიბგირი ორის საათის შემდეგ მოკვდარა.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 დეკემბერს დაუმტკიცებია შტატი ქუთაისის პოლიციისა. ამიერიდგან ქუთაისში იქნება 9 უფროსი და 38 უმცროსი პოლიციის ჯარის-კაცი.

*** ქართულ თეატრის წარმოდგენა, რომელიც გადადებულ იქმნა 6 იანვარს მომხდარ უბედურობის მსხვერპლთა დასაფლავების გამო, დანიშნულია ხვალ, 10 იანვრისათვის.

*** ნათლი-ღება დღეს ჩატეხილის ხიდისა და ვანქის ტაძრის მიდამოს ფოტოგრაფიული სურათები უკვე გამოკიდებულია სასახლის ქუჩაზე მაღაზიებში.

*** ცხინვალი: ახალმა წელმა ზოგიერთი კარგი ახალი ამბავი მოგვიტანა. ვინ იცის, რამდენის წლის დანგრეულ ხიდის კეთებას შევუდეგით და იმედია, რომ მალეც გვეღირსება მისი გაკეთება და კარგადაც გაკეთდება. ამის იმედს გვაძლევს ამ ხიდის გაკეთების იჯარით ამღები, რომელიც დიდად მხნეობს ამ საქმისათვის. ახალ-წლიდამვე დავიწყეთ ცხინვალში ალაგ-ალაგ ქუჩებში ქვაფენილების კეთება. გზებსაც ცხინვალის ახლო-მახლო ყურადღება მიექცა. ქურდებსაც, როგორც სჩანს, ალაგმვას ვუპირებთ. ერთი დიდის ხნის ქურდი უკვე გათოკილ იქმნა, მაგრამ, ამბობენ, ქომაგი გამოსჩენია და შესაძლოა თავდებობით გაანთავისუფლონო. ბევრგან სხვაგანაც მიექცა ყურადღება ქურდობასა და ავაზაკობას. ახლო-მახლო სოფლებში ადგენენ სიას საეჭვო კაცებისას, რათა წარდგენილ იქმნას ეს სიები, საცა ჯერ არს. მალე, ვგონებთ, წიგნთსაკითხავსაც მოვესწრებით, რადგან თხოვნა უკვე გაგზავნილია და დღე-დღეზედ ნება-რთვის მიღებას ველით.

*** ცხინვალიდამ: პარასკევს, 3 იანვარს, 12 საათზე, დიდი თოვლი მოვიდა და ითოვლა ესე ორი საათი; შემდეგ წვიმა მოჰყვა და მთელი ღამე და დღე იწვიმა. შაბათს დღეს იმისთანა ნიაღვრები მოსკდა, როგორიც გინახავთ მაის-თიბათვეში. ნამდვილი თქეში იყო. ლიახვმაც იმატა და საშინლად აიმღვრა.

*** ქ. თელავი: 1 იანვარს, საღამოზე, ქალაქ თელავის „დესეტნიკმა“ ჯაშიაშვილმა დასჭრა პირისახეში რევოლვერით დროებით ჩამოსული თიანეთის მაზრიდამ, ტომით თუში, გვარად ქადაგიძე. ეს დაჭრა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: ამ მოხსენებულის ქადაგიძის ამხანაგს თუშს ჰქონოდა აღკრძალული თოფი, „მაგაზინკად“ წოდებული და დესეტნიკ ჯაშიაშვილს რა შეენიშნა ეს თოფი, მოეწადინებინა წართმევა ძალით, რადგანაც თოფის პატრონი ნებაყოფლობით არ ანებებდა. მოსვლოდათ ამის გამო ჩხუბი, დესეტნიკს მიშველებოდნენ სხვა ამხანაგნი, თუშს—ქადაგიძე და ამ დროს ჯაშიაშვილს ესროლნა რევოლვერი გადაგიძესათვის, რომელსაც დაეწყო მისთვის ცემა. ეს საქმე გამომძიებელს გადაეცა, რომელიც უკვე შეუდგა გამოძიებას. ქადაგიძეს, როგორც აღმოჩნდა, უმაღლესი განათლება მიუღია და ზოგიერთ დასავლეთ-ევროპის ქალაქებშიაც უმგზავრნია, მაგრამ დესეტნიკს მისი ვინაობა ვერ შეეტყო, რადგანაც ქადაგიძეს, თავის ამხანაგ თუშივით, ჩოხა-ტყავი და მოქსოვილი ჩითები აცვია და ვინ რას წარმოიდგენდა, რომ ამ ტანისამოსში გახვეული კაცი განათლებულიაო.

*** თელავიდამ: 19 ქრისტეშობისთვეს, კარგის ამინდის გამო, მასწავლებელთ გამოიყვანეს სასეირნოდ თელავის სამოქალაქო სკოლის შეგირდები მუსიკითა და თოფებით. ოთხის ხუთის ვერსის მანძილი გაიარეს... მოწაფენი საუცხოვოდ და თამამად უკრავდნენ მუსიკას. იმათი მწყობრი სიარული მუსიკის ხმაზე და თოფის ხმარება სასიამოვნო სანახავი იყო.

*** იქიდამვე: პარასკევს, 27 დეკემბერს, თელავის სამოქალაქო სკოლის ღარიბ შეგირდების დამხმარებელ საზოგადოების გამგეობამ გაჰმართა სკოლისავე დარბაზში „ბალი ლატარია-ალეგრით“. ხალხი საკმაოდ დაესწრო. თავოსნებმა ბალი მშვენივრად გამართეს და ხარჯიც დიდი მოუვიდათ; წმინდა შემოსავალი დარჩა მხოლოდ 120 მან. ეს ფული განაწილდა ამ ნაირად: რვა თუმანი გადაეცა „დამხმარებელ საზოგადოების გამგეობას“ და ოთხი თუმანი „დამშეულთა“ სასარგებლოდ გაიგზავნა.

*** კახეთი: კვირას, 29 დეკემბერს, სოფ. ვარდისუბანში იკურთხა ახლად აგებული წმ. გიორგის ეკკლესია, რომლის შენებაც დიდი ხანია დაწყებული იყო. საყდარი კოხტაა და მშვენივრადაც არის მოწყობილი. კურთხევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო სხვა-და-სხვა დაბა-სოფლებიდამ. წირვა-კურთხევის შემდეგ იყო წარმოთქმული მღვდელბის მიერ სიტყვა და დარიგებანი. სოფელს კარგა ბლომა ფული დაუჯდა ამ ეკკლესიის აშენება და ამასთანავე დიდი ხარჯი გასწია კურთხევის დღეს; ვინც-კი დაესწრო კურთხევას, ყველანი დაპატიჟებულნი იყვნენ სოფლელების მიერ. საპატიო კაცნი სახლებში მიიპატიჟეს და დანარჩენებისათვის საყდრის ახლოსვე იყო გამართული სადილი, რომლისთვისაც გადადებული იყო ორმოც-და-ათი თუმანი.

*** ტფილისის მცხოვრებელთ ზაქარ ოვაკიმოვმა და არტემ ხეჩატუროვმა პოლიციაში გამოაცხადეს, რომ ყაზარმის იქით შერგილ მათუზოვის ტრაქტირში ამ თვის ექვსს შუაღამისას თავს დაგვეცნენ, ორი საათი და 399 მანეთი წაგვართვესო. პოლიციამ აღმოაჩინა დამნაშავენი და შეიპყრო. დამნაშავენი არიან იმავე ტრაქტირის პატრონი მათუზოვი და იმისი მზარეული ავეტიქ დავიდოვი.

## ქართლ-კახეთ-იმერეთის სომეხთ-გრიგორიანის საეპარქიო კონსისტორიისაგან.

ქართლ-კახეთ-იმერეთის სომეხთ-გრიგორიანის საეპარქიო კონსისტორიისაგან ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად შემდეგი წერილი:

ვანქის ტაძრიდამ მადათოვის კუნძულამდე მტკვრის მარჯვენა პატარა ტოტზედ გადებულ და დროებით დადგმულ ხის ხიდის ჩამტვრევის გამო, რომელსაც ფრიად სამწუხარო და საუბედურო შედეგად მოჰყვა დალუპვა მრავალის ხალხისა, ქართლ-კახეთ იმერეთის სომეხთ-გრიგორიანის საეპარქიო კონსისტორია, მის ყოვლად-უსამღვდელოესობის ეპარქიის უფროსის მინდობილობით, მოვალეობად ჰრაცხს, გამოაცხადოს საყოველთაო საცნობლად შემდეგი:

კონსისტორიამ წარსულ დეკემბრის 4, წინა წელთა მაგალითისამებრ, შეჰკრა პირობა ტფილისის მცხოვრებელს გევორქ ტერ-გუკასოვთან დროებითის ხის ხიდის აშენების შესახებ იორდანესათვის ვანქის ტაძრის გალავნიდამ მადათოვის კუნძულამდე ორმოც-და-ათ თუმნად. ამ პირობაში სწერია სხვათა შორის, რომ იჯარადარი მოვალეა ააგოს ხიდი ქალაქის ტეხნიკოსის ზედამხედველობით და ყოველი მისი მოთხოვნილება ზედ-მიწევნით შეასრულოს. შემდეგ კონსისტორიამ 9 დეკემბერს 4288 ნომრით მისწერა ქაღალდი ტფილისის ქალაქის გამგეობას და აუწყა შემდეგი: „წინა წელთა მაგალითის მიხედვით, უნდა გაკეთდეს დროებით ხიდი ვანქის ტაძართან ნათლი-ღების ლიტანიისათვის, ამიტომ საეპარქიო კონსისტორია უმორჩილესად სთხოვს ქალაქის გამგეობას მასნდოს მან ქალაქის ტეხნიკოსს, თვალყური დაიჭიროს ზემოხსენებულის ხიდის აშენებაზე“. ამ ქაღალდის პასუხად 16 დეკემბერს 3309 ნომრით მოგვივიდა ქაღალდი ქალაქის გამგეობისა და ითხოვდა, გამოჰგზავნეთ გეგმა (პროექტი) ხიდისაო, ხოლო იმის შესახებ, რომ ვიდრე ამ გეგმას გამოჰგზავნიდეთ, შეაყენეთ აგება ამ ხიდისაო, იმ ქაღალდით არა ეუწყარა კონსისტორიას.

გეგმა ვერ გაეგზავნა გამგეობისათვის იმიტომ-რომ ხიდის აგებისათვის მუშაობა უკვე დაწყებული იყო. და მეორეს მხრით ხიდის აშენების ვითარება ყოველთვის იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ადგილია ის ადგილი, საცა ხიდი შენდება და წყლის მიმდინარეობის მუდმივს ცვალებადობაზედაც. წინა ვლებშიც არას დროს ხიდის გეგმა არ შემდგარა და არ გაგზავნილა გამგეობაში დასამტკიცებლად, თუმცა-კი იყო მაგალითი, რომ გამგეობას მოუთხოვნია გეგმა. კონსისტორია ამასთანავე დასძენს, რომ თუმცა ხიდის გეგმა არა ყოფილა შემდგარი, მაინც ქალაქის ტეხნიკოსი ყოველ წლივ ინახულებდა ხოლმე ხიდს და, თუ საჭირო იყო, ქაღალდით მიჰმართავდა ხოლმე, ვისაც ჯერ იყო, ცვლილებანი მოეხდინათ და ხიდის შემჩნეული ნაკლებულობა გაესწორებინათ. ამიტომ, რაკი წელს ასეთი ქაღალდი არავის წარმოუდგენია, ეს გარემოება იმის საბუთად იქმნა მიღებული, რომ ხიდი უთუოდ საიმედოაო, რაშიაც კონსისტორია დარწმუნდა უფრო იმიტომ, რომ ხიდი შენდებოდა მთელის ერთის თვის განმავლობაში ისეთს ადგილას, რომელიც დაფარული არავისთვის არ იყო და რომლის შესახებაც ქალაქის თვით-მმართველობამ კარგად იცოდა, რომ სწორედ ის ადგილია დიდის ხნიდგან დანიშნული ლიტანიისათვის ნათლი-ღება დღეს.

## დავით ჩუბინაშვილის ხელთ-ნაწერ ბიბლიოთეკის გამო.

(წერილი პეტერბურგიდამ)

როგორც მოგეხსენებათ, მდიდარი და ძვირფასი ბიბლიოთეკა ხელ-ნაწერებისა, შეგროვილი განსვენებულ პროფესორ დავით იესეს-ძის ჩუბინაშვილის მიერ ხანგრძლივის შრომითა და მეცადინეობით, მისმა მემკვიდრეებმა შესწირეს „ქართველთა-შორის-წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“. სია ბიბლიოთეკისა უნდა შედგენილიყო პროფესორ ა. ცაგარლის ზედამხედველობით. ეხლა ამ სიის შედგენა უკვე დაუწყიათ, ამ მოკლე ხანში სულ გათავდება მისი შედგენა და მთელი ბიბლიოთეკა გამოიგზავნება ტფილისს დანიშნულებისამებრ. ხელთნაწერებთან ერთად გამოიგზავნება ის წიგნებიც, რომელიც შეეხება კავკასიასა, რომელთაც აქვთ რაიმე კავშირი და დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანასთან. ამ გვარი წიგნები უკვე გადარჩეულია და სიაც ჩქარა შესდგება.

განსვენებულის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა სიგელ-გუჯრების ასლები ერთს დიდ წიგნად შეკრული და ფრიად საყურადღებო ცნობებით სავსე. მოიპოვება მეფეთა სიგელ-გუჯრებიც, რომელთა შორისაც ერთი დიდად საყურადღებოა. ხელთ-ნაწერებს შორის ბევრი ისეთი მანუსკრიპტია, რომელიც, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არ მოიპოვება „წერა-კითხვის საზოგადოებისაა ბიბლიოთეკაში. ასეთია, მაგალითებრ, თეიმურაზ ბატონიშვილის „ვეფხის ტყაოსნის“ განმარტება, თავად-აზნაურთა ჩამომავლობის ისტორიის მასალა, სიები ძველის წიგნებისა.

თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის გადათვალიერებამ და დ. ჩუბინაშვილის ხელთ-ნაწერების დაწვრილებით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ძვირფასი წიგნთ-საცავი დ. ჩუბინაშვილს შეუსყიდნია, ან სხვა გზით შეუძენია.

რაიცა შეეხება სხვა-და-სხვა ენაზედ ნაწერს წიგნებს, ამათ შორის არის ისეთი თხზულებანი, რომელნიც არ მოიპოვებიან არც ტფილისსა და არც მოსკოვში. ამ მხრივ „წ. კ. საზოგადოება“ იძენს ფრიად შესანიშნავს საისტორიო მასალას. ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა რუკანიც, რომელნიც აგრეთვე გამოიგზავნება ტფილისს.

განსვენებულის საკუთარ ხელნაწერთ შორის აღმოჩნდა ცალკე შენიშვნები, ლექციები, მოკლე გამოკვლევანი, რომელნიც შეიძლება დაიბეჭდოს, თუ „საზოგადოებას“ ხარჯი არ გაუჭირდება.

# რუსეთი

ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ რუსეთში განზრახვა აქვთ, 1892 წ. 1 იანვრიდგან ახალი ჟურნალი გამოსცენ ჭაბუკთათვის. ამ ჟურნალის პირველი წიგნი უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს. აი რას ამბობს საზოგადოთ ამ ჟურნალისა და განსაკუთრებით პირველის წიგნის შესახებ გაზ. „Рус. Вѣд.“ რეცენზენტი, ბ-ნი ვ. ერმილოვი: „რამდენიმე თთვის წინად შევიტყეთ, რომ ჩვენში ახალი ჟურნალი არსდება ჭაბუკთათვის. ამ ამბის გამო ზოგიერთი ამბობდა, რომ ეს ჟურნალი ვითომ და ვერ მოიკიდებს ფეხს ჩვენშიო. იმიტომაო, ამბობდნენ ამ ჟურნალის წინააღმდეგნი, რომ მოზარდი თაობა ამაყია, თავის თავს ყმაწვილებად არა სთვლის და უფრო სამეცნიერო წიგნებს ეტანებაო. მაგრამ, აი გამოვიდა პირველი წიგნი ახალის ჟურნალისა: „Міръ Божій.“ აიღეთ წიგნი, წაიკითხეთ და დარწმუნდებით, რომ ეს ჟურნალი სწორედ სასარგებლოა იმ ჭაბუკთათვის, ვინც-კი სცდილობს სწავლასა და განვითარებას. პირველის წიგნიდამვე სჩანს, რომ რედაქციამ დიდის ყურადღებით მოჰკიდა ხელი თავის მოვალეობას და დიდის სიფრთხილით აარჩია ჟურნალში მოქცეული წერილები. პირველ განყოფილებაში ყურადღების ღირსია მშვენიერი მოთხრობა: „ვერ დაადესეს“ ქ-ნ ელიზა ოჟეშკოსი. ქ-ნი ოჟეშკო დიდის სიმარტივით მოგვითხრობს იმ საცოდავ, ღარიბ-ღატაკ ხალხის ცხოვრებას, რომელიც ლუკმა პურისთვის მუშაობს და მთელს თავის ბეჩავს სიცოცხლეს და ძალ-ღონეს აკლავს გამუდმებულს და დაუღალავს შრომას. ეს ბეჩავნი—მუშა და ხელოსანი ხალხია. ეს მოთხრობა ისეთის ხელოვნებით არის დაწერილი, რომ უნებურად იზიდავს ადამიანის თანაგრძნობას იმ საცოდავებისაკენ, „ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“...

ამ ნაირივე სათნოებით და კაცთ-მოყვარეობით გამსჭვალულია პატარა მოთხრობა „ექიმი ფრომანი“ პროფესორ ა. ნ. ბეკეტოვისა. ავტორი მოგვითხრობს ერთის მოხუცებულის ექიმის ამბავს, რომელსაც მთელი თავის სიცოცხლე შეუწირავს ღარიბ-ღატაკ ხალხისთვის: დადიოდა საპატიმროებში და ქსენონებში და უსასყიდლოდ სწამლობდა ღარიბ ავადმყოფებს. დიდი ყურადღების ღირსია მოთხრობაში ამ მოხუცებულის ექიმის ბაასი ახალგაზდა, მეცნიერებით გატაცებულს, მაგრამ კაცთ-მოყვარეობის გრძნობისათვის გულ-დახშულს კაცთან; ექიმი უმტკიცებს ამ ახალგაზდა კაცს, რომ „ყველა კაცი მოვალეა, რამდენადაც-კი ძალ-ღონე შესწევს, დაეხმაროს დაჩაგრულს და საწყალს ხალხს“. ამავე განყოფილებაში დაბეჭდილია მოთხრობები: დ. ნ. მამინ-ციმბირელისა „ზამთრის გატარება“ და ა. დოდეს „უკანასკნელი წიგნი“. ჟურნალის დამატებაში დაბეჭდილია დასაწყისი ქ-ნ ჟორჟ ელიოტის მშვენიერის რომანისა „სეილას მარნერი„.

მეორე განყოფილებაში დაბეჭდილია ხელოვნურად დაწერილი საისტორიო მიმოხილვა ვ. დ. სინოვსკისა. „სოკრატი და მისი დრო“ და წერილი დ. ა. კორობჩევსკისა „მღვიმე-მაღაროთა კაცნი“. ამ წერილით ავტორი გვაცნობებს პირვანდელ ხალხის ყოფა-ცხოვრებას. შემდეგ— ა. მ. გოლოვაჩოვის მოგზაურობის აღწერა: „ალტაის მადნების ერთი კუთხე“.

მესამე განყოფილებაშია: წერილი ვ. პ. ოსტროგორსკისა „სახსოვრად გონჩაროვისა“. ამ წერილით ავტორი აუწყებს მკითხველებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს გონჩაროვის თხზულებებს და რა საპატიო ადგილი უჭირავთ მათ რუსეთის ლიტერატურაში. შემდეგ დაბეჭდილია ბიბლიოგრაფია, რომელიც დიდის მოფიქრებით არის შედგენილი. საზოგადოდ ამ პირველს წიგნს ეტყობა, რომ ჟურნალის რედაქტორი გამოცდილი და შეგნებული მოღვაწეა, რომელსაც კარგად შეუგნია თავის მკითხველების მოთხოვნილება და არც შრომას ზოგავს მის დასაკმაყოფილებად. ჟურნალის იმ განყოფილებაშიაც, რომელიც უმნიშვნელო გეგონებათ, როგორიც არის „ნარევი“ და „წვრილი ამბავი“ ფრიად საყურადღებო და სასარგებლო ამბებია მოთავსებული. ერთის სიტყვით, ახალის ჟურნალის მთელს პირველს წიგნს სინიდისიერისა და მკითხველთათვის სასარგებლო შრომა-მოღვაწეობის ნაშან წყალი ატყვია.

## რა იქნება ასის წლის შემდეგ?

ამ სათაურით პროფესორს შარლ რიშეს, რედაქტორს ფრანგულის სამეცნიერო ჟურნალისას, დაუბეჭდია თავისს ჟურნალში რამდენიმე წერილი და სცდილობს, განსჭვრიტოს, რამდენადაც შესაძლოა, რა მოელის კაცობრიობას ასის წლის შემდეგ. რასაკვირველია, ეს განჭვრეტა ძნელია, მეტადრე თუ კაცი მოინდომებს გამოიცნოს, რა იქნება ათასისა და ორი-ათასის წლის შემდეგ. ჯერ ისიც-კი საიდუმლოთია მოცული, რა მოგველის 1893 წელს, არამც თუ ის გამოვიცნოთ, ათასის წლის უკან რა მოხდება, რა გვარს ყოფაში ვიქნებით. შესაძლოა, ბევრი რამ მოხდეს ისეთი, რის წინდაწინვე დანახვა, წინასწარ განჭვრეტა ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ რიშე მაინც ჰგონებს, რომ ბევრს რამეს შეუძლიან მიჰხვდეს კაცი წინდაწინვე და ამ ბევრ-რამის ასის წლის წინად დანახვა დაამყაროს საკმაოდ მტკიცე სამეცნიერო საფუძველზედაო.

მართალია, მერმისისა და შემდეგის საუკუნოს შესახებ ყოველივე საუთუოა და საეჭვოდ დასასახი, მაგრამ მაინც ერთი რამ არის საკმაო უეჭველობით საფიქრებელი. ეს ერთი რამ ის არის, რომ ფიზიოლოგიური და ზოოლოგიური ვითარება კაცობრიობის არსებობისა ასის წლის განმავლობაში შესამჩნევად არ შეიცვლება. ასტრონომებმა და გეოლოგებმა დაამტკიცეს, რომ დედამიწა თანდათან ცივდება, მაგრამ ეს გაცივება დედამიწისა ძალიან ნელნელა და შეუმჩნევლად სწარმოებს. წელიწადში რომ $^1/_{1000}$ გრადუსის ოდნად გაცივდეს, ათასს წელიწადში ერთის გრადუსით უნდა იმატოს სიცივემ. ერთის სიტყვით, 8000 წელიწადი უნდა გავიდეს, რომ პარიჟში ისეთი სიცივე დაიჭიროს, როგორიც დღეს მოსკოვშიაო. ამოდენა ხანი, იქნება, სამყაროსათვის წამია, მაგრამ კაცობრიობისათვის-კი კარგა დიდი ხანია. ამ სახით, გარეგანი ვითარება სიცოცხლისა არაფრით არ შეიცვლება, რაიცა შეეხება თვით ადამიანს, შესაძლოა და საფიქრებელიც არის, რომ ადამიანი თანდათან იცვლება სულითაცა და ხორცითაც, მაგრამ ეს ცვლილება ძალიან ნელ-ნელა სწარმოებს. ასის წლის შემდეგაც, უეჭველია, ადამიანი ისეთივე იქმნება, როგორიც დღეს არის. მაგრამ, თუმცა ფიზიოლოგიურად კაცი შესამჩნევად არ შეიცვლება, სოციალურად ძლიერ იცვლება ❦ დიდის სისწრაფითაც იცვლება. რამდენადაც შეუმჩნეველია ბიოლოგიური ცვლილებანი, იმდენად შესამჩნევია სოციალური ცვლილებანი. ჩემს წერილებშიო, ამბობს რიშე: აი სწორედ ეს უნდა გავარკვიოთ, რა ცვლილობა მოელის ასის წლის შემდეგ სხვა-და-სხვა ერს, კაცთა კრებულს და კაცთა ცოდნას.

პირველად რიშე იმას მოგვითხრობს სტატისტიკის საფუძვლითა, რომ ასის წლის შემდეგ კაცობრიობა ძლიერ გამრავლებული იქნებაო. ეხლა, 1892 წელს, ევროპაში 375 მილიონი მცხოვრებია და 1992 წელს 778 მილიონამდე გახდებაო. უფრო ძლიერ გამრავლდება ხალხი რუსეთში, საცა დღეს 110 მილიონია და მაშინ-კი 340 მილიონი იქნება, გერმანიაში ეხლა 49 მილიონია და მაშინ 115 მილიონი გახდება. ამერიკაშიაც ძლიერ გამრავლდება ხალხიო. ეხლა იქ არის 120 მილიონი და ასის წლის შემდეგ იქნება 685 მილიონი. მარტო ჩრდილო-ამერიკის შტატებში ისე იმატებს ხალხის რიცხვი, რომ დღევანდელ 64 მილიონის მაგიერ, იქნება 400 მილიონიო.

ყოველს ამაზე უფრო საყურადღებოა რიშეს მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა ერთმანერთობა და ურთიერთობა დამყარდება ერთა შორის ევროპაში ასის წლის შემდეგ. მაგრამ ეს ხვალ იყოს.

# წვრილი ამბავი

ინფლუენცის ბაცილა. გაზეთ „Rerliner Togeblatt“-ში დაბეჭდილია შემდეგი, ფრიად საყურადღებო წერილი შესახებ ინფლუენციის ბაცილებისა. აი ის წერილი:

„ამ რამდენიმე დღის წინად ორს ბერლინის ექიმს, პფეიფერს და კანონს გამოუკვლევიათ უცნაურის ავადმყოფობის, ინფლუენციის მიზეზი. ეს ექიმები დაბეჯითებით ამბობენ, რომ ინფლუენციის მიზეზი ბაცილებიაო. Charité-Aerztes-ს საზოგადოების კრებაზედ 25 დეკემბერს ორივე ექიმს წაუკითხავთ მოხსენება შესახებ თავიანთ გამოკვლევისა. პფეიფერს უთქვამს, ჩემის აზრით ინფლუენცის ბაცილის აღმოჩენა უფრო ადვილი მეგონა, რომ ავადმყოფის ნახველი გამესინჯა. იმის აზრი გამართლდა. 14 დღის გამოკვლევის შემდეგ პფეიფერი დარწმუნებულა, რომ ინფლუენცის მიზეზი სწორედ ბაცილება ყოფილა. პფეიფერს 30 ინფლუენცით ავადმყოფის ნახველი გაუსინჯავს, კოხის მიერ მოგონილის საშუალებით და ძლიერ სიფთხილით მოუკიდნია ხელი ამ გამოკვლევისთვის. აღმოჩნდა, რომ ავადმყოფის ნახველში ბაცილები ყოფილა. პირველის შეხედვით ინფლუენცის ბაცილა იმ ბაცილას წააგავს, რომელიც ფილტვის ანთების დროს მოიპოვება ადამიანის სხეულში. მაგრამ, როცა პფეიფერმა კარგად გასინჯა ეს ბაცილები გამადიდებელის შუშით, ნახა, რომ ეს ინფლუენცის ბა-

ცილა რგვალი-კი არ არის, როგორც ფილტვის ანთებისა, არამედ უფრო მოგძო და ცოტა მოკაკვებული. პფეიფერის აზრით ინფლუენცის ბაცილა ყველა სხვა გვარ ბაცილაზე პატარაა და მოშხამულ სისხლის ბაცილის მეოთხედზედ მეტი არ არის; სხვათა შორის ინფლუენცის ბაცილის განსხვავება სხვა ბაცილებისაგან იმაშია, რომ ინფლუენცის ბაცილები ერთად არ არიან შეჯგუფულნი, ამას გარდა ამ ბაცილებს ძლიერ ცოტა მოძრაობა ეტყობათ. გლიცერინის შემწეობით პფეიფერმა ბაცილები გაამრავლა და დარწმუნდა, რომ ბაცილები ერთად არ იჯგუფებიან სხვა ბაცილებივით, ასე რომ, თითოეული ბაცილა ცალკე იზრდება და ცხოვრობს. პფეიფერს ეს ბაცილები აუცრია ზღვის გოჭებისთვის, თეთრ კურდღლებისთვის, თაგვებისთვის, მტრედებისთვის და მაიმუნებისთვის. ამ პირუტყვებში მხოლოდ თეთრი კურდღლები და მაიმუნები გახდნენ ავად ინფლუენცის მინაგვარ ავადმყოფობით. პფეიფერს უთქვამს, რომ ინფლუენცის დროს ადამიანის ფურთხსა და ნახველს თან ამოსდევს ბაცილებიო. ავადმყოფი რომ თანდათან რჩება, ნახველს უფრო ნაკლები ბაცილა ამოსდის და როცა ადამიანი მორჩება, ბაცილები სრულიად იკარგება სხეულში. პფეიფერი ამტკიცებს, რომ ინფლუენცა გადამდები ავადმყოფობაა და ამიტომ ურჩევს ყველას, რომ ავადმყოფის ფურთხი და ნახველი რაც შეიძლება მალე უნდა გაიტანონ ოთახიდგან ან არა და შუშის ყუთში აფურთხოს ავადმყოფმაო.

ერთსა და იგივე დროს ექიმმა კანონმაც მოაბიტის ქსენონში ინფლუენცით ავადმყოფების ნახველი გასინჯა და იმაშიაც აღმოჩნდა ინფლუენცის ბაცილები. კანონიც ეცადა ბაცილების გამრავლებას გლიცერინის შემწეობით და პირუტყვებს აუცრა ბაცილები, მაგრამ არც ერთი პირუტყვი არ გამხდარა ავად ინფლუენცით. ამ ცნობების მეტი ვერც კანონსა და ვერც პფეიფერს ჯერ-ჯერობით ვერ გამოუკვლევიათ, მაგრამ რა-კი ეხლა დამტკიცდა, რომ ინფლუენცას თავისი ბაცილა აქვს, იმედია, რომ მეცნიერება მალე დაწვრილებით გამოიკვლევს და ამ უცნაურის ავადმყოფობის მორჩენაც შესაძლებელი იქნება.

— ამერიკაში ინფლუენცა საშინლად მძვინვარებს. ამ ჟამად იქ 2,000 კაცამდეა ავად. ნახევარზე მეტი ქარხანა დაიკეტა. ხალხი ძლიერ დაშინებულია.

—ამ დღეებში ნიუ-იორკში ცეცხლი წაჴკიდებია საგიჟეთის სახლს, რომელშიაც 1,000 ჭკუაზე შეშლილი კაცი ყოფილა. ხალხი არავინ დაშავებულა, მაგრამ ამ ამბავმა ძლიერ ცუდი გავლენა იქონია ავადმყოფებზედ. გაზეთ Times-ის სიტყვით ზარალი ორ ნახევარ მილიონ ფრანკამდეა.

## პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბერს

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 13 | 8, 18 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 163 | 163 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, 19 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 239 1/2 |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 219 |
| —მესამისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . , . | 199 1/2 | — ,, | 201 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |


სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,Иверія''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს. გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებშ. № 21.



# ОТКРЫТА НА 1892 ГОДЪ ПОДПИСКА

на армян. иллюстрир. ежемѣсяч. журналъ

## „АГБЮРЪ“

(X. ГОДЪ ИЗДАНІЯ)

выходитъ въ годъ 12 номеровъ

ПРОГРАММА

ОТДѢЛЪ 1-й

1, Повѣсти, расказы, сказки, путешествія, біографіи, поэмы, эпизоды 2, Стихотворенія, 3, Наука и искусство. 4, Смѣсь. 5, Мелочи. 6, Дѣтскія, педагогическія, шахматныя и другія игры, ребусы, математическія задачи, анекдоты, загадки, поговорки, пословицы и т. д. 7, Пѣсни съ нотами.

ОТДѢЛЪ II-й

Статьи, касающіяся воспитанія и обученія дѣтей. 9, Проэкты и совѣты. 10, Библіографія. 11, Смѣсь. 12, Отвѣты и объявленія.

на армян. единствен. иллюстрир. еженедѣльный журналъ

## „ТАРАЗЪ“

*Приложеніе* *Агбюръ*

(III. ГОДЪ ИЗДАНІЯ)

выходитъ каждое воскресенье отъ 1—2 листовъ

ПРОГРАММА

Изящное искусство и наука. Историческія и современныя романы, поэмы, пьесы, повѣсти. Стихотворенія. Критика и Библіографія. Парижскія моды и рукодѣлія. Домашнее хозяйство. Путешествія и эпизоды. Театръ и музыка. Статьи и корреспонденціи. Фельетонъ. Шутки, Забавы. Смѣсь. Новости. Шахматныя и другія игры. Отвѣты. Объявленія.

По случаю десятилѣтія журнала „АГБЮРЪ“ подписчики получать 51 премію.

Св. Григарій просвѣтитель, гравюра 44—62 сан. Хримянъ Айрикъ, гравюра 44—62 сан. Артистъ Адамянъ, гравюра 44—62 сан. Художественный альбомъ. (12 изящн. фототип.,) св. Эчміадзинъ и его окрестности. Карта Кавказскаго края. Фридолинъ Шиллера, переводъ на стар. армян. яз. Раффи. Его мать, новѣсть Эммы Виттеманъ. Иллюстрированный путеводитель по Кавказу и Кавказскимъ минеральнымъ водамъ. Христофоръ Колумбъ, (біографія его и открытіе Америки, съ портретомъ, по случаю 400 лѣт. открытія Америки). Педагогическій сборникъ.

Десятилѣтіе журнала „Агбюръ“, сборникъ съ портретами армянскихъ выдающихся литераторовъ. 32 фототипныя и автотипныя рисунки, портреты изъ Новаго Завѣта. историческаго и народнаго быта, въ четырехъ выпускахъ. Париж. Моды, и проч.

Подписавшіяся на журналы, „Агбюръ и Таразъ“ получаютъ до новаго года 8 премій одновременно, а остальныя въ теченіи года. Подписавшіеся только на журналъ „Агбюръ“ получаютъ 31 премію.

ГОДДВАЯ ПЛАТА журнала „Агбюръ“, 3 руб. 28 к., а журнала „Таразъ“ 6 руб. Адресъ: Тифлисъ, „АГБЮРЪ“ или „ТАРАЗЪ“.

Редакторъ-Издатель Т. Я. НАЗАРЬЯНЪ.



გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

# ზადიგი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.



კერძო ექიმი

# პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთ.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა. (10—8)



2-й годъ изданія — ОТКРЫТА ПОДПИСКА — 1892 года.

на большую, еженедѣльную, политическую, экономическую, научную и литературную газету

# „ПРАВДА“

со ежемѣсячными литературными приложеніями—книгами.

**ПРАВДА**, вступая во второй годъ изданія, не нуждается въ рекламахъ. Значительный успѣхъ и уваженіе, которыми она пользуется въ Россіи и за границей, служатъ ей лучшей рекламой.

**ПРАВДА** органъ исключительно политическій, истинно русскаго направленія и свято служитъ національнымъ интересамъ Россіи и славянъ.

**ПРАВДА**, по обилію матеріала для чтенія незамѣнима; она издается по самой широкой и разнообразной программѣ; даетъ читателямъ возможность своевременно слѣдить за всѣмъ, совершающимся на земномъ шарѣ и вполнѣ замѣняетъ дорогіе по цѣнѣ газеты и журналы.

## „Правда“ по прежнему состоитъ

изъ большой газеты и литературныхъ приложеній—книгъ. Каждый № газеты состоитъ изъ 2—3 и болѣе листовъ большого формата; въ 24—30 и болѣе столбцовъ убористой печати и по прежнему же заключаетъ слѣд. XXII отдѣла: I Руководящія передовыя статьи, числомъ не менѣе 5—7 по всѣмъ вопросамъ государственнымъ и общественнымъ. II Дневникъ редактора по всѣмъ политико-общественнымъ вопросамъ и злобамъ дня. III. Письма собственныхъ корреспондентовъ изъ россіи и заграницы. IV. Иностранное обозрѣніе; этотъ отдѣлъ всегда состоитъ также изъ ряда статей, изъ которыхъ каждая посвящается отдѣльному государству и подробно анализируетъ всѣ событія недѣлы. Широкая постановка этого отдѣла вполнѣ замѣняетъ ежедневныя газеты. V. Иностранная и русская печать. VI. Русская жизнь. VII. Придворныя извѣстія, русскія и иностранныя. VIII. Лѣтопись церковной жизни: все касающееся жизни духовенства и его быта; разныя статьи, правительственныя распоряженія и пр. IX. Петербургская хроника. X. Искуство. XI- Некрологъ. XII. Судебная хроника. XIII. Маленькій фельетонъ. XIV. Научный фельетонъ; въ немъ постоянно трактуются въ легкой и популярной формѣ рѣшительно всѣ предметы и вопросы по всѣмъ отраслямъ знанія, достойные общаго вниманія: по философіи, естествознанію, исторіи, богословію и пр. XV. Стихотворенія, басни, и эпиграммы. XVI. Калейдоскопъ заключаетъ бесѣду въ легкой формѣ обо всемъ. XVII. Разныя извѣстія. XVIII. Смѣсь. XIX. Полѣзные совѣты—въ годъ до 500 всевозможныхъ рецептовъ и совѣтовъ. XX. Репертуаръ. XXI. Почтовый ящикъ и XXII. Объявленія по таксѣ.

## въ годъ 52 № газеты и свыше 500 оригинальныхъ статей

литературныя приложенія—въ годъ 12 толстыхъ книгъ.

Каждая книга въ роскошной обложкѣ, убористой печати, содержитъ: цѣлый законченный романъ, поэму, стихотворенія, басни, литературный этюдъ и пр.

Въ литературныхъ приложеніяхъ втеченіе 1892 г. будутъ напечатаны, еще не вышедшія въ свѣтъ произведенія европейскихъ корифеевъ—писателей: Э. Зола.-,,Война'',-,,А. Додэ—Поврременный разводъ'' и ,,Походъ''. Русскихъ сочиненія Грибоѣдова, Полежаева, Кольцова и графа Л. Н. Толстаго (новѣйшія) и многія другія выдающіяся произведенія.

Такимъ образомъ подписчики газ. ,,Правда'' за 6 руб. въ годъ получатъ:

Большую политико-научную газету

и цѣнную библіотеку извѣстныхъ писателей—корифеевъ.

Подписная цѣна съ дост. и пересылк. въ С. П. Б. и во всѣ мѣста Имперіи на годъ 6 руб. на полгода 4 руб. на 1 мѣсяцъ 1 руб.
за гран. ,, 10 ,, ,, 6 ,, ,, 1 ,,

Выписывающіе 10 экземпл. газеты получаютъ 1 экземпляръ безплатно. Допускается разсрочка: при подпискѣ 3 руб. и въ мартѣ 3 руб.

Подписка принимается въ Главной Конторѣ газ. ,,Правда'', С.-Петербургѣ, невскій 67.

Издатель-редакторъ газеты ,,Правда'' П. Н. Подлигайловъ.

Втеченіе 1891 года газета ,,Правда'' дала: 52 № газеты со всѣми вышепоименованными 22 отдѣлами и цѣлой серіей оригинальныхъ статей (свыше 500) политическихъ, экономическихъ, научныхъ, литературныхъ и пр. и въ литературныхъ приложеніяхъ цѣлый рядъ избраннѣйшихъ романовъ слѣд. авторовъ: ,,А. Додэ—Портъ Тарасконъ'', Э. Зола—,,Деньги'', В. Юмъ—,,Тайна Гансонъ-Кэба'', Тценъ-Ки-Тонга—,,Докторъ-Ли'' (Романъ изъ китайской жизни), Андре Терье—,,Жертва Любви'', Біорнстерне-Біорнсонъ—,,Житейская Борьба'', Жюль Мари—,,Роковая тайна'', В. Геймбургъ—,,Розы и шипы'', Э. Гоффманъ ,,Месть духа'' и пр.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ экземпляры газеты ,,Правда'' со всѣми приложеніями романовъ за 1891 г. высылаются—полный годовой экземпляръ— новымъ годовымъ подписчикамъ газ. ,,Правда'' на 1892 г. за 4 рубля, всѣмъ остальнымъ лицамъ безъ уступки, т. е. за 6 рублей. 3—3


Дозв. ценз. Тифлисъ, 8-го Января 1892 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.